

ვახტანგ ჭაბუკიანი

ვ. ჭაბუკიანი 1910 წლის 10 თებერვალს თბილისში დაიბადა. 1922–23 წწ. სწავლობდა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრთან არსებულ მ. პერინის სტუდიაში.

1924 წ. ჩაირიცხა ამავე თეატრის საბალეტო დასში. 1926–29 წწ. ოსტატობას სრულყოფდა ლენინგრადის ქორეოგრაფიულ სასწავლებელში (ვ. სემიონოვის, ვ. პონომარიოვის და ა. შირიაევის კლასები).

1929–41 წწ. იყო ლენინგრადის ს. კიროვის სახ. მუსიკალური თეატრის საბალეტო სოლისტი. შეასრულა წამყვანი პარტიები: ჯარჯი (ა. ბალანჩივადის „ მთების გული“, 1938) და ფრონდოსო (ა. კრეინის „ლაურენსია“, 1939). რომელთა დადგმა თვითონვე განახორციელა. ამ დადგმებს, საპროგრამო მნიშვნელობა ენიჭებოდა ქორეოგრაფიული დრამის დამკვიდრებისათვის საბჭოთა საბალეტო ხელოვნებაში. ლენინგრადში შესრულებული პარტიებიდან აღსანიშნავია აგრეთვე - ბაზილი (ლ. მინკუსის „დონ კიხოტი“) ალბერი (ა. ადანის „ჟიზელი“) ზიგფრიდი (პ. ჩაიკოვსკის: „გედის ტბა“) ჟერომი (ბ. ასაფიევის „პარიზის ალი“), ოსტაპი (ვ. სოლოვიოვ-სედოის „ტარას ბულბა“).

1941-73 წწ. ხელმძღვანელობდა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასს. 1968 წლამდე იყო ამ დასის მოცეკვავეც. მისი დადგმები და შესრულებული პარტიები: ჯარჯი (ა. ბალანჩივადის „მთების გული“, 1941), ალბერი (ა. ადანის „ჟიზელი“, 1942), ბაზილი (ლ. მინკუსის „დონ კიხოდი“, 1943), ზიგფრიდი (პ. ჩაიკოვსკის „გედის ტბა“, 1947), ფრონდოსო (ა. კრეინის „ლაურენსია“ 1948), გორდა, სოკოლოვი (დ. თორაძის „გორდა“, 1949 და „მშვიდობისათვის“, 1953), ოტელო (ა. მაჭავარიანის „ოტელო“ 1957), ც. პუნის „ესმერალდა“ (1944), გრ. კილამის „სინათლე“ (1947), პ. ჩაიკოვსკის „მძინარე მზეთუნახავი“ (1959), ს. ცინცაძის „დემონი“ (1961), ფ. ლლონტის „განთიადი“ (1967), ლ. მინკუსის „ბაიადერა“ (1968), რ. გაბიჩვადის „ჰამლეტი“ (1971).

ვ. ჭაბუკიანის შემოქმედება მჭიდროდ უკავშირდება საბჭოთა ბალეტის სცენაზე რეალიზმის დამკვიდრებას. მან შექმნა მამაკაცის ცეკვის გმირული, ვაჟკაცური სტილი. მის შესრულებაში მკაცრი კლასიკური მანერა, ნატიფი ვირტუოზული ტექნიკა, სკულპტურული დიდებულება კარგად ერწყმოდა ჭეშმარიტ ადამიანურობას, განცდის სიმართლეს, შინაგან ექსპრესიას, მგზნებარე ტემპერამენტს. იგი დაჯილდოვებულია იშვიათი ბუნებრივი მონაცემებით, ფლობს მდიდარ გამომსახველ საშუალებებს.

საბალეტო კლასიკასთან ქართული ხალხური ცეკვის შერწყმით ვ. ჭაბუკიანმა შექმნა ეროვნული კლასიკური ბალეტის თავისებური სახეობა. განსაკუთრებული წარმატება ხვდა წილად ვ. ჭაბუკიანის მიერ ხორცშესხმულ ოტელოს პარტიას, სადაც ერთმანეთს შეერწყა მოქმედი ცეკვა და პანტომიმა, შექსპირისეული ტრაგედიის გრძნობისა და აზრის სიღრმე.

1965-70 წწ. ხელმძღვანელობდა რუსთაველის სახ. თბილისის თეატრალური ინსტიტუტის საბალეტმაისტერო განყოფილებას, ხოლო 1950-73 წწ. თბილისის ქორეოგრაფიულ სასწავლებელს, 1982 წ. დღემდე კი ამავე სასწავლებლის მთავარი კონსულტანტია.

ვ. ჭაბუკიანმა თავისი სცენარის მიხედვით დადგა ფილმები: „ ქართული ბალეტის ოსტატები“ (1955) და „ოტელო“ (1961). აღსანიშნავია მისი გასტროლები აშშ-ში, სამხრეთ ამერიკაში, ავსტრიაში, საფრანგეთში, იტალიაში და სხვა. სპექტაკლები დადგა იაპონიაში, ირანში, უნგრეთში, ბულგარეთსა და ფილიპინებზე.

ვ. ჭაბუკიანი სამგზის სახელმწიფო პრემიის ლაურეატია (1941, 1951, 1958).

1958 წ. მიენიჭა ლენინური პრემია ა. მაჭავარიანის „ოტელოს“ დადგმისა და ოტელოს როლის შესრულებისათვის.

1939 წ. მიენიჭა საქართველოს დამსახ. არტისტის, 1943 წელს საქ. სსრ სახ. არტისტის, ხოლო 1950წ. სსრ კავშირის სახალხო არტისტის წოდებები.

ვახტანგ ჭაბუკიანის პირადი საარქივო ფონდი

ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

წიგნაკები, საწევრო ბილეთები

1. ვახტანგ ჭაბუკიანის მედლის მოწმობა “კავკასიის დაცვისთვის” 1944 წლის 1 მაისს.

1945 წ. 3 თებერვალი. თბილისი. სტამბური. ბეჭედდასმული. ხელს აწერს უმაღლესი საბჭოს თავჯდომარე გიორგი სტურუა. რუსულ ენაზე. 1 გვ.

2. ვახტანგ ჭაბუკიანის მედლის მოწმობა “1941-1945წწ. დიდ სამამულო ომში თავდადებული შრომისათვის”.

1946 წ. 23 თებერვალი დასტამბული, ბეჭედდასმული. ხელს აწერს ბ. გოგოძე. რუსულ ენაზე. 1 ც.

3. ვახტანგ ჭაბუკიანის მიერ არმიის დასახმარებლად გაცემული საწევრო წიგნაკი საკავშირო ნებაყოფლობითი საზოგადოების დოსააფის მიერ.

1948 წ. 22 ოქტომბერი. თბილისი. სტამბური. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

4. ლენინურ-სტალინური კომკავშირის 30 წლისადმი მიძღვნილი ქ. თბილისის ნორჩ პიონერთა V საქალაქო შეკრების ვახტანგ ჭაბუკიანის წიგნაკი.

1948 წ. 27 ოქტომბერი. თბილისი. სტამბური. ქართულ და რუსულ ენაზე. 1 ც.

5. ვახტანგ ჭაბუკიანის წიგნაკი ლენინის ორდენის მინიჭების შესახებ.

1950 წ. 23 დეკემბერი. მოსკოვი. დასტამბული. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 ც.

6. საქართველოს სსრ თბილისის ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების მიერ გაცემული ვახტანგ ჭაბუკიანის საწევრო ბილეთი.

1950 წ. თბილისი. სტამბური. ხელნაწერი. ბეჭედდასმული. ქართულ და რუსულ ენაზე. 4 გვ.

7. ვახტანგ ჭაბუკიანის წიგნაკი შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებასთან დაკავშირებით.

1958 წ. 7 მაისი, თბილისი. დასტამბული. ბეჭედდასმული. ხელს აწერს გიორგაძე. რუსულ ენაზე. 1 ც.

8. ვახტანგ ჭაბუკიანის მოწმობა ლენინური პრემიის ლაურეატის მინიჭებასთან დაკავშირებით.

1958 წ. 6 ივნისი. მოსკოვი. სტამბული. ბეჭედდასმული. ხელს აწერს მიმნიჭებელი კომიტეტის თავჯდომარე ნ. ტიხონოვი. რუსულ ენაზე. 1 ც.

9. ვახტანგ ჭაბუკიანის წიგნაკი შრომის წითელი დროშის ორდენის მიინიჭებასთან დაკავშირებით.

1966 წ. 25 მაისი, თბილისი. დასტამბული. ბეჭედდასმული. ხელს აწერს გიორგაძე. რუსულ ენაზე. 1 ც.

10. ვახტანგ ჭაბუკიანის საიუბილეო მედლის მოწმობა “ვლადიმერ ილიას მე ლენინის დაბადებიდან 100 წლის იუბილეს აღსანიშვნაში თავდადებული შრომისთვის”.

1970 წ. 4 აპრილი. დასტამბული. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 ც.

11. საქართველოს თეატრალური საზოგადოების მიერ გაცემული ვახტანგ ჭაბუკიანის საწევრო ბილეთი.

1970 წ. თბილისი. დასტამბული. ხელს აწერს კ. ნინიკაშვილი. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.

12. ვახტანგ ჭაბუკიანის საკავშირო მნიშვნელობის პენსიონერის წიგნაკი.

1972 წ. სტამბური. ხელნაწერი. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.

13. თბილისის ქორეოგრაფიული სასწავლებლის დირექციის მიერ გაცემული ვახტანგ ჭაბუკიანის მოწმობა.

1973 წ. 25 დეკემბერი. თბილისი. ნაბეჭდი. ხელნაწერი ბლანკი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 ც.

14. ვახტანგ ჭაბუკიანის საიუბილეო მედლის მოწმობა “1941-1945წწ. დიდ სამამულო ომში გამარჯვების 30 წლისთავთან” დაკავშირებით.

1975 წ. 1 ოქტომბერი. დასტამბული. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 ც.

15. ვახტანგ ჭაბუკიანის “შრომის ვეტერანის” მედლის მოწმობა.

1977 წ. 2 დეკემბერი. დასტამბული. რუსულ ენაზე. 1 ც.

16. ვახტანგ ჭაბუკიანის სოციალისტური შრომის გმირის წიგნაკი მინიჭებული საბჭოთა ქორეოგრაფიის გავითარების საქმეში უდიდესი ღვაწლისათვის.

1990 წ. 19 მაისი. მოსკოვი. სტამბური ბეჭედდასმული. ხელს აწერს სსრკ პრეზიდენტი მიხაილ გორბაჩოვი. რუსულ ენაზე. 1 ც.

17. თავდაცვითი მშენებლობის სამხედრო საზოგადოების მიერ გაცემული ვახტანგ ჭაბუკიანის წიგნაკი.

უთარილო. სტამბური. რუსულ ენაზე. 7 გვ.

18. საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის თბილისის კინოსახლის მიერ გაცემული ვახტანგ ჭაბუკიანის წიგნაკი.

უთარილო. სტამბური. ქართულ და რუსულ ენაზე. 19 გვ.

ბიოგრაფიული მასალა

19. ვახტანგ ჭაბუკიანი ავტობიოგრაფია.

1946 წ. ავტოგრაფი. ფანქარი. ნაბეჭდი. ხელნაწერი. მელანი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

20. ვახტანგ ჭაბუკიანის ავტობიოგრაფია.

1946 წ. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 3 გვ.

21. ვახტანგ ჭაბუკიანის შემოქმედებითი ბიოგრაფია.

(გაგზავნილია თბილისის ქორეოგრაფიული სასწავლებლიდან მინსკში ბელორუსიის სახლემწიფო ენციკლოპედიისთვის).

1973 წ. ივლისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

22. ვახტანგ ჭაბუკიანის შემოქმედებითი ბიოგრაფია.

პირი: გრ. კილაძე, ა. კრეინი, ს. ცინცაძე, ა. მაჭავარიანი, დ. თორაძე.

უთარილო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 3გვ. 2 ეგზ.

23. ვახტანგ ჭაბუკიანის ავტობიოგრაფია.

უთარილო. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. არასრული 2 გვ.

24. ვახტანგ ჭაბუკიანის ავტობიოგრაფია.

უთარილო ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

25. ვახტანგ ჭაბუკიანის ავტობიოგრაფია.

უთარილო. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 4 გვ.

კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ანკეტა

26. ვახტანგ ჭაბუკიანის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
1941 წ. 12 სექტემბერი. სტამბური. ბეჭედდასმული. ხელით შევსებული. რუსულ ენაზე. 4 გვ.
27. ვახტანგ ჭაბუკიანის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
1946 წ. 3 აგვისტო. სტამბური. ხელით შევსებული. რუსულ ენაზე. 4 გვ.
28. ვახტანგ ჭაბუკიანის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
1953 წ. 23 ოქტომბერი. ხელით შევსებული. რუსულ ენაზე. 4 გვ.
29. ვახტანგ ჭაბუკიანის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
1955 წ. 18 თებერვალი. თბილისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
30. ვახტანგ ჭაბუკიანის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი. (ბიოგრაფიული და შემოქმედებითი მონაცემები).
1955 წ. 18 თებერვალი. სტამბური. ბლანკი ხელით შევსებული. რუსულ ენაზე. 2 გვ.
31. ვახტანგ ჭაბუკიანის სარეგისტრაციო ფურცელი.
1961 წ. დეკემბერი. ბლანკი. ხელით შევსებული. რუსულ ენაზე. 2 გვ.
32. ვახტანგ ჭაბუკიანის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
1972 წ. 28 იანვარი. თბილისი, სტამბური. ქართულ და რუსულ ენაზე. 4 გვ.
33. ვახტანგ ჭაბუკიანის ხელოვნების მუშაკთა კადრების პერსონალური აღრიცხვის ანკეტა.
უთარილო. სტამბური. რუსულ ენაზე 4 გვ.

რეკომენდაცია, დახასიათება

34. ვახტანგ ჭაბუკიანის რეკომენდაცია ბალეტისმცოდნე ვერა მიხეილის ასულ კრასოვსკაიას ნაშრომისთვის “რუსული ბალეტის თეატრი”, სსრკ სახელმწიფო პრემიაზე წარდგენასთან დაკავშირებით.
1972 წ. 11 დეკემბერი. თბილისი. ნაბეჭდი. ასლი. ხელს აწერენ ვ. ჭაბუკიანი, ქორეოგრაფიული სასწავლებლის სამხატვრო ხელმძღვანელი ს. ვეკუა, ქართული ბალეტის მკვლევარი ნატალია ჩხეიძე. რუსულ ენაზე. 1 გვ.
35. საქართველოს კულტურის მინისტრის ოთარ თაქთაქიშვილის მიერ გაცემული ვახტანგ ჭაბუკიანის დახასიათება.
უთარილო. ნაბეჭდი. ასლი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

ბრძანებები

36. ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელ გრიგოლ კილაძის მიერ გაცემული ბრძანება ვახტანგ ჭაბუკიანის შვებულებაში გასვლასთან დაკავშირებით.

1943 წ. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 3 გვ.

37. ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროს შადურის ბრძანება ვახტანგ ჭაბუკიანის მივლინებით მოსკოვში გამგზავრებასთან დაკავშირებით.

პირი: ხრეპჩენკო

1945 წ. სექტემბერი. თბილისი. ნაბეჭდი. ასლი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

38. ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისი ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორ პ. კანდელაკის ბრძანება საფინანსო და საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით.

პირი: ყიფიანი, ვ. ჭაბუკიანი, დ. ჯავრიშვილი, ნ. ბელაქნელი, მ. ბაუერი, თ. ლაპიაშვილი, დ. ანდლულაძე, დ. მირცხულავა, შარატა დოლიძე.

1949 წ. 10 ოქტომბერი, თბილისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

39. საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს მიერ გაცემული ბრძანება ვახტანგ ჭაბუკიანის ქორეოგრაფიული სტუდიის დირექტორად დანიშვნის შესახებ.

პირი: ი. დოლიძე.

1951 წ. 3 აპრილი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. 1 გვ.

40. საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის ისიდორე დოლიძის ბრძანება თბილისის ქორეოგრაფიულ სტუდიაში მუშაობის გაუმჯობესების მიზნით დავით ჯავრიშვილის მხრიდან დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების მოთხოვნის დაკმაყოფილებასა და ვახტანგ ჭაბუკიანის დირექტორის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ. აგრეთვე სამომავლოდ სტუდიის ქორეოგრაფიულ სასწავლებლად გარდაქმნასთან დაკავშირებით.

პირი: ეთერ კილაძე, ი. დოლიძე.

1951 წ. 3 აპრილი. ნაბეჭდი. 2 გვ.

41. საქართველოს კულტურის მინისტრის ა. გუნიას ბრძანება ვახტანგ ჭაბუკიანის შვებულებაში გაშვებასა და დროებით თბილისის ქორეოგრაფიული სასწავლებლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად სერაფიმა ვეკუას დანიშვნის შესახებ.

1955 წ. 31 მაისი. თბილისი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. ასლი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

42. საქართველოს კულტურის მინისტრის დავით ჩხიკვიშვილის მიერ გაცემული ბრძანება ვახტანგ ჭაბუკიანის ფულადი პრემიით დაჯილდოების შესახებ.

1958 წ. 10 თებერვალი, თბილისი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 გვ.

43. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო აღმასრულებელი კომიტეტის ბრძანება თბილისის სახელმწიფო ქორეოგრაფიული სასწავლებლის შენობის საექსპლუატაციოდ გადაცემასთან დაკავშირებით და მისაღები კომისიის შემადგენლობის შესახებ.

პირი: ვახტანგ ჭაბუკიანი, მელქაძე, ა. მელაძე, ბელეშაძე.

1959 წ. 12 აგვისტო. თბილისი. ნაბეჭდი. ბლანკი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 2 გვ.

44. საქართველოს კულტურის მინისტრის დავით ჩხიკვიშვილის მიერ გაცემული ბრძანება ვახტანგ ჭაბუკიანის ბალეტის პედაგოგის თანამდებობიდან გათავისუფლებისა და თვეში 6000 მანეთის დანიშვნის შესახებ.

1960 წ. 6 აპრილი. თბილისი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 გვ.

45. საქართველოს კულტურის სამინისტროს მიერ გაცემული ბრძანება ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში ვახტანგ ჭაბუკიანის ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელად დანიშვნის შესახებ.

პირი: დ. მჭედლიძე

1960 წ. 8 აპრილი. თბილისი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. ხელს აწერს კლდიაშვილი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

46. ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის დირექტორის დიმიტრი მჭედლიძის მიერ გაცემული ბრძანება ვ. ჭაბუკიანის ბალეტის პედაგოგის თანამდებობიდან გათავისუფლებისა და სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე ხელფასისი შეუცვლელად გადაყვანის შესახებ.

1960 წ. 12 აპრილი. თბილისი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 გვ.

47. საქართველოს კულტურის მინისტრის დავით ჩხიკვიშვილის მერ გაცემული ბრძანება პ. ჩაიკოვსკის ბალეტ “შაქნატუნას” ლიბრეტოს ავტორად ვახტანგ ჭაბუკიანის საავტორო უფლების აღიარების შესახებ.

1960 წ. 9 ივლისი. თბილისი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. ასლი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

48. საქართველოს კულტურის მინისტრის დავით ჩხიკვიშვილის მიერ გაცემული ბრძანება ვახტანგ ჭაბუკიანის მიერ დამოუკიდებელი ლიბრეტოს შექმნისათვის საავტორო უფლების მინიჭების შესახებ,

1960 წ. 9 ივლისი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 გვ.

49. ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის დირექტორ დიმიტრი მჭედლიძის მიერ გაცემული ბრძანება, ახალი საბალეტო და საოპერო სპექტაკლების მომზადებისა და თარიღების მიხედვი დადგმის განრიგთან დაკავშირებით.

პირი: რევაზ წულუკიძე, ვახტანგ ჭაბუკიანი.

1963 წ. 15 თებერვალი. თბილისი. ნაბეჭდი. ხელს აწერს საქმეთა მმართველი კირმიზოვა. რუსულ ენაზე. 1 გვ.

50. სსრკ კულტურის მინისტრის ეკატერინა ფურცევას მიერ გაცემული ბრძანება ვახტანგ ჭაბუკიანისადმი, საბჭოთა საბალეტო ხელოვნების შემდგომი განვითარების შესახებ.

1963 წ. 19 ივლისი. მოსკოვი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 6 გვ.

51. საქართველოს კულტურის მინისტრის ოთარ თაქთაქიშვილის მიერ გაცემული ბრძანება აკაკი ხორავას იუბილეს ჩატარებასთან დაკავშირებით საიუბილეო კომისიის შემადგენლობის შექმნის შესახებ.

პირი: ვახტანგ ჭაბუკიანი, ლადო გუდიაშვილი, ირაკლი აბაშიძე, მიხაილ ცარიოვი, ვერიკო ანჯაფარიძე, ოთარ თაქთაქიშვილი, გიგა ლორთქიფანიძე, დოდო ანთაძე, ნინა შვანგირაძე, მიხეილ ჭიაურელი, უჩა ჯაფარიძე.

1965 წ. 15 მაისი. თბილისი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. 1 გვ.

52. სსრკ კულტურის მინისტრის ეკატერინა ფურცევას მიერ გაცემული ბრძანება ახალი საკონცერტო ქორეოგრაფიული საცეკვაო ნომრების, III საკავშირო კონკურსის ჩატარების გეგმისა და ჟიურის წევრთა სიის შესახებ.

პირი: ვახტანგ ჭაბუკიანი, იური გრიგოროვიჩი, როსტისლავ ზახაროვი, ოლგა ლეპეშინსკაია, ვახტანგ ვრონსკი, ოთარ დადიშვილიანი, ნატალია დუდინსკაია, სოფია გოლოვკინა, ვლადიმირ ვლასოვი, თეოდორ ლოპუხოვი, ვ. პრეობრაჟენსკი, რაისა სტრუჩკოვა, კონსტანტინ სერგეევი.

1968 წ. 25 დეკემბერი. მოსკოვი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 4 გვ.

53. საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილის აკაკი დვალიშვილის მიერ გაცემული ბრძანება ვახტანგ ჭაბუკიანისადმი თანამედროვე საბჭოთა თემაზე ახალი

საკონცერტო ქორეოგრაფიული ნომრების შესაქმნელად გამოცხადებული მესამე საკავშირო კონკურსის ჩატარების შესახებ.

პირი: ა. ჩიმაკაძე, ა.შანიძე, ა. ყიფიანი.

1967 წ. 17 ივლისი. თბილისი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. 1 გვ.

54. სსრკ კულტურის მინისტრის ეკატერინა ფურცევას ბრძანება ბალეტის მსახიობთა I საერთაშორისო კონკურსში მონაწილეობისა და მაღალმხატვრულ დონეზე ჩატარების საქმეში დიდი წვლილისათვის ვახტანგ ჭაბუკიანისათვის, ირინა ჯანდიერისათვისა და ანა წერეთლისთვის მაღლობის გამოცხადებისა და პრემიით დაჯილდოების შესახებ.

1969 წ. 17 სექტემბერი. მოსკოვი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 გვ.

55. სსრკ კულტურის მინისტრის ეკატერინა ფურცევას მიერ გაცემული ბრძანება ვახტანგ ჭაბუკიანისადმი ქორეოგრაფიული სასწავლებლების საკავშირო დათვალიერების შედეგების შესახებ.

1969წ. 4 აპრილი. ნაბეჭდი. მეხუთე გვერდზე ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 9 გვ.

56. საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილის ვ. იაქაშვილის მიერ გაცემული ბრძანება საქართველოს სახელმწიფო ცეკვის ანსამბლის შექმნის 25 წლისთავისთვის კომისიის შექმნის შესახებ.

პირი: ო. თაქთაქიშვილი, ვ. ჭაბუკიანი, დ. ალექსიძე, ა. ბალანჩივაძე, პავლე ხუჭუა, ა. კერესელიძე, გრ. აბაშიძე, დ. ანთაძე, დ. მჭედლიძე, ო. ეგაძე.

1970 წ. 5 ოქტომბერი. თბილისი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. 1 გვ.

57. საქართველოს კულტურის მინისტრის ოთარ თაქთაქიშვილის მიერ გაცემული ბრძანება ვახტანგ ჭაბუკიანის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელისა და მთავარი ბალეტმამყრობის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ. აგრეთვე გოგი ალექსიძის მთავარ ბალეტმამყრობად დანიშვნის შესახებ.

1972 წ. 31 ოქტომბერი. თბილისი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. ხელს აწერს ხაჭაპურიძე. რუსულ ენაზე. ერთვის ასლი. 2 გვ.

58. საქართველოს კულტურის მინისტრის ოთარ თაქთაქიშვილის მიერ გაცემული ბრძანება თბილისის ქორეოგრაფიული სასწავლებლის დირექტორის ვახტანგ ჭაბუკიანის თანამდებობიდან საკუთარი განცხადების საფუძველზე გათავისუფლებისა ამავე სასწავლებლის დირექტორის მოვალეობის დროებით შემსრულებლად სერაფიმა ვეკუას დანიშვნის შესახებ.

1973 წ. 18 იანვარი. თბილისი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 გვ.

59. საქართველოს კულტურის მინისტრის მიერ გაცემული ბრძანება ვახტანგ ჭაბუკიანისათვის თბილისის ქორეოგრაფიული სასწავლებლის დირექტორისათვის შესაბამისი ოდენობის ხელფასის დანიშვნის შესახებ.

პირი: აკაკი დვალიშვილი.

1973 წ. 31 იანვარი. თბილისი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. ხელს აწერს ხაჭაპურიძე. 1 გვ.

60. საქართველოს კულტურის მინისტრის მიერ გაცემული ბრძანება ვახტანგ ჭაბუკიანის თბილისის ქორეოგრაფიული სასწავლებლის დირექტორის თანამდებობიდან სამხატვრო ხელმძღვანელად გადაყვანის შესახებ.

პირი: ა. დვალიშვილი.

1973 წ. 1 თებერვალი. თბილისი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. ხელს აწერს ხაჭაპურიძე. რუსულ ენაზე. 1 გვ.

დადგენილებები

61. სსრკ კულტურის სამინისტროს კოლეგიის დადგენილება ბალეტის მსახიობთა მეორე საერთაშორისო და ბალეტმაისტერთა და ბალეტის მსახიობთა საკავშირო კონკურსების შესახებ და

ვახტანგ ჭაბუკიანის გაცნობასთან დაკავშირებით.

1970 წ. 21 აგვისტო. მოსკოვი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 17 გვ. 3 ეგზ.

62. საქართველოს კულტურის სამინისტროს კოლეგიის დადგენილება ვახტანგ ჭაბუკიანისათვის საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიის გაზრდის შესახებ.

პირი: ვ. ასათიანი

1990 წ. თბილისი. ნაბეჭდი. ასლი. 1 გვ.

წესდებები

63. საქართველოს ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წესდება ვახტანგ ჭაბუკიანისადმი ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის პარტიული თათბირის შემდგომი პრაქტიკული ღონისძიებების გატარებასთან დაკავშირებით.

1970 წ. 19 ივნისი. თბილისი. ნაბეჭდი. ხელს აწერს კუკულაძე. რუსულ ენაზე. 5 გვ.

64. ვახტანგ ჭაბუკიანის მიერ დამტკიცებული თბილისის სახელმწიფო ქორეოგრაფიული სასწავლებლის წესდება. 1991 – 1992 სასწავლო წლის საათების განაწილება სპეციალობების მიხედვით. შედგენილია სასწავლებლის დირექტორის მოადგილის სერაფიმა ვეკუას მიერ.

უთარილო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 3 გვ.

ცნობები

65. კადრების სამმართველოს უფროსის მიერ გაცემული ცნობა ვახტანგ ჭაბუკიანის ბიოგრაფიული და შემოქმედებითი მოღვაწეობის შესახებ.

1955 წ. 20 აპრილი. სტამბური. ბლანკი. ხელით შევსებული. რუსულ ენაზე. 2 გვ.

66. ორთოპედიული პოლიკლინიკის მიერ გაცემული ცნობა ვახტანგ ჭაბუკიანის ჯანმრთელობის შესახებ.

1971 წ. 24 ოქტომბერი. მოსკოვი. ხელნაწერი. ბლანკი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

67. ცნობა ვახტანგ ჭაბუკიანის ლენინგრადის თეატრიდან ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში გადმოყვანის შესახებ

უთარილო. 8 მაისი. მანქანაზე ნაბეჭდი. ხელს აწერს აზაურაშვილი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

მიმართვები

68. პეტრე ჩაიკოვსკის სახლ-მუზეუმის დირექციის მიმართვა ვახტანგ ჭაბუკიანისადმი, მუზეუმის გამოფენისათვის “ჩაიკოვსკის დღეს” თავისი პორტრეტის ავტოგრაფით გასაგზავნასთან დაკავშირებით.

1945 წ. 28 თებერვალი. ნაბეჭდი. ბლანკი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

69. ვახტანგ ჭაბუკიანის მიმართვა საქართველოს ცეკას მდივან კანდიტ ჩარკვიანისადმი, საბინაო პრობლემებთან დაკავშირებით.

1947 წ. თბილისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

70. კიროვის სახელობის ლენინგრადის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირექტორის ნ. ციგანოვის მიმართვა საქართველოს მინისტრთა საბჭოს ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილე კანდელაკისადმი, ლენინგრადის კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში სტალინური

პრემიის ლაურეატების ვახტანგ ჭაბუკიანისა და ვერა წიგნაძის წარმატებული გამოსვლებისათვის მადლობის გამოცხადების შესახებ.

1948 წ. 16 ივლისი. ლენინგრადი. ნაბეჭდი. ასლი. ბეჭედდასმული. ხელს აწერს კანდელაკი. ბეჭდით. რუსულ ენაზე. 1 გვ.

71. სომხეთის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების სამმართველოს უფროს გ. დომბაევის მიმართვა მინისტრთა საბჭოს თავჯდომარის მოადგილე ბესპალოვისადმი, ვ. ჭაბუკიანისა და ვ. დავიდოვას გასტროლების შესახებ, სომხეთის ფილარმონიის დირექტორის ა. ხანჯიანის განმარტებასთან დაკავშირებით.

1948 წ. 17 ივლისი. ნაბეჭდი. ასლი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

72. სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტის საგასტროლო ბიუროს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის კისელევსკის მიმართვა ვახტანგ ჭაბუკიანისადმი, ერევანში ჩასატარებელი გასტროლების ირგვლივ არსებული ფინანსური პრობლემების შესახებ.

პირი: გ. დომბაევა. ნაზარაშვილი.

1948 წ. 7 აგვისტო. მოსკოვი. ნაბეჭდი. ბლანკი. ხელს აწერს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი კისელევსკი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

73. სსრკ მინისტრთა საბჭოს ხელოვნების სამმართველოსთან არსებული მუსიკალური თეატრების მთავარი სამმართველოს უფროსის ნ. გორიანოვის მიმართვა ვახტანგ ჭაბუკიანისადმი რიგის ოპერისა და ბალეტის თეატრში კრეინის ბალეტი “ლაურენსიას” დადგმასთან დაკავშირებით.

1948 წ. 31 დეკემბერი. რიგა. ნაბეჭდი. ბლანკი. ხელს აწერს ნ. გორიანოვი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

74. სომხეთის ფილარმონიის დირექტორის ა. ხანჯიანის მიმართვა სომხეთის მინისტრთა საბჭოს ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის გ. დომბაევისადმი, ა. ხანჯიანისა და ამიერკავკასიის საგასტროლო ბიუროს რწმუნებულ ნაზარაშვილის სატელეფონო საუბრის შესახებ ვახტანგ ჭაბუკიანისა და ვერა დავიდოვას საგასტროლო ჰონორარებთან დაკავშირებით.

1948 წ. ივლისი. ერევანი. ნაბეჭდი. ასლი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

75. საგასტროლო ბიუროს თანამშრომლის დ. სულხანიშვილის მიმართვა ვახტანგ ჭაბუკიანისათვის ჰონორარის დაგვიანების გადახდის შესახებ.

1949 წ. ნაბეჭდი. ხელს აწერს დ. სულხანიშვილი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

76. საქართველოს მინისტრთა საბჭოს ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის ისიდორე დოლიძის მიმართვა ტექნიკუმების მართვის სამმართველოს უფროს პ. ფომინისადმი, ვახტანგ ჭაბუკიანის თბილისის ქორეოგრაფიული სასწავლებლის დირექტორად დანიშვნის შესახებ.

1951 წ. 19 ივლისი. ნაბეჭდი. ასლი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

77. სსრკ. მინისტრთა საბჭოს ხელოვნების საქმეთა კომიტეტის მუსიკალური თეატრების მთავარი სამმართველოს მიმართვა ყვლა ოპერისა და ბალეტის თეატრების დირექციებისადმი, მათ შორის ვახტანგ ჭაბუკიანისადმი. მთავარი სამმართველოსა და “მთავლიტის” გადაწყვეტილების მიერ შემდეგი ბალეტები კომპოზიტორ ვ. ნიუროსოვსკის “მშვიდობის დროშის ქვეშ” და კომპოზიტორ ე. მაკაროვის “მებადურისა და თევზის ზღაპარი” თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მიერ დადგმის შესახებ. დირექციის მიერ მიწერილია

1952 წ. 29 ივნისი. მოსკოვი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

78. მუსიკალური თეატრების მთავარი სამმართველოს უფროს ი. მუროვცევის მიმართვა ვახტანგ ჭაბუკიანისადმი, ოფიციალურად დამტკიცებული და ნებადართული საბალეტო სპექტაკლების ლიბრეტოების მკაცრად დაცვის შესახებ.

1952 წ. 29 ივნისი. მოსკოვი. ნაბეჭდი. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

79. ლენინგრადის კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორის გ. ორლოვის მიმართვა ვახტანგ ჭაბუკიანისადმი ბალეტ “სპარტაკის” ლიბრეტოს გაგზავნასთან დაკავშირებით.

პირი: ნ. ვოლკოვი, არამ ხაჭატურიანი.

1954 წ. 28 სექტემბერი. ენინგრადი. ნაბეჭდი. ბლანკი. ხელს აწერს გ. ორლოვი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

80. ლენინგრადის კიროვის სახ. ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის დირექტორის გ. ორლოვის მიმართვა ვახტანგ ჭაბუკიანისადმი ბალეტ “სპარტაკის” ლიბრეტოსთან დაკავშირებით, არამ ხაჭატურიანთან მოსკოვში ან ლენინგრადში შეხვედრის შესახებ.

1955 წ. 5 იანვარი. ლენინგრადი. ნაბეჭდი. ბლანკი. ხელს აწერს გ. ორლოვი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

81. თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორის დიმიტრი მჭედლიძის მიმართვა საქართველოს კულტურის მინისტრ ა. გუნიასადმი, ვახტანგ ჭაბუკიანისათვის ხელფასის მომატების შესახებ.

1956 წ. 1 ივნისი. თბილისი. ნაბეჭდი. ბლანკი. ხელს აწერს დ. მჭედლიძე. რუსულ ენაზე. 1 გვ.

82. სსრკ კულტურის მინისტრისა და ლენინური პრემიების მიმნიჭებელი სახელმწიფო კომიტეტის მოადგილის სერგეი კაფტანოვის მიმართვა საქართველოს კულტურის მინისტრის ა. გუნიასადმი ლენინური პრემიების მინიჭებასა და შესაბამისი ინსტრუქციით ხელმძღვანელობასთან დაკავშირებით.

1957 წ. 19 აგვისტო. ოსკოვი. ნაბეჭდი ბლანკი. ხელს აწერს ს. კაფტანოვი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

83. საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის თავჯდომარის სახალხო არტისტის შალვა დადიანისა და ამავე საზოგადოების პრეზიდიუმის პასუხისმგებელი მდივნის დ. ჩხეიძის მიმართვა საქართველოს კულტურის მინისტრის დავით ჩხიკვიშვილისადმი, ლენინური პრემიის კანდიდატებად ვახტანგ ჭაბუკიანის, ალექსი მაჭავარიანის, სოლიკო ვირსალაძის, ოდისეი დიმიტრიადის, ზურაბ კიკალეიშვილის, ვერა წიგნაძისა და ვერიკო ანჯაფარიძის წარდგენის შესახებ.

1957 წ. 16 დეკემბერი. თბილისი. ნაბეჭდი. ბლანკი. ხელს აწერენ: შალვა დადიანი, დავით ჩხეიძე. 2 გვ.

84. საქართველოს საბჭოთა კომპოზიტორთა კავშირის პრეზიდიუმის წევრის, მუსიკისმცოდნის ვლადიმირ დონაძის მიმართვა საქართველოს კულტურის მინისტრ დავით ჩხიკვიშვილისადმი ბალეტ “ოტელოს” მუსიკის ავტორის ალექს მაჭავარიანის 1958 წელს ლენინური პრემიის კანდიდატად წარდგენასთან დაკავშირებით.

1957 წ. 19 დეკემბერი. თბილისი. ნაბეჭდი. ბლანკი. ხელს აწერს ვლ. დონაძე. 1 გვ.

85. საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილე ვ. ქიქოძის მიმართვა ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორისადმი თეატრის შემოქმედებითი მუშაკების, მათ შორის ვ. ჭაბუკიანის, ანაძღაურებასთან დაკავშირებით.

1959 წ. 8 მაისი. ნაბეჭდი. ბლანკი. ხელს აწერს ვ. ქიქოძე. რუსულ ენაზე. 1 გვ.

86. ლენინგრადის კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირექტორის გ. კორკინის მიმართვა ვახტანგ ჭაბუკიანისადმი ლენინგრადში ბალეტ “ოტელოს” დადგმასთან დაკავშირებით.

პირი: ალ. მაჭავარიანი, სოლიკო ვირსალაძე, იური გრიგოროვიჩი.

1959 წ. 15 ივლისი. ენინგრადი. ნაბეჭდი. ბლანკი. გ. კორკინის ხელმოწერა. რუსულ ენაზე. 1 გვ.

87. “საუდ”-ის (საავტორო უფლებების დაცვის სააგენტო) დირექტორის ი. ხომერიკისა და ოპერატიული განყოფილების უფროსის შ. ბეკურაშვილის მიმართვა საქართველოს კულტურის მინისტრ დ. ჩხიკვიშვილისადმი, ვახტანგ ჭაბუკიანის ბაღეც “მაკნატუნას” ლიბრეტოს გადამუშავებასთან დაკავშირებით.

1960 წ. 2 მარტი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: ი. ხომერიკი, შ. ბეკურაშვილი ქართულ ენაზე. 2 გვ.

88. საკავშირო საავტორო უფლებათა დაცვის სამმართველოს წარმომადგენლების გ. ხესინისა და იუ. რუდაკოვის მიმართვა საქართველოს საავტორო უფლებათა დაცვის ორგანიზაციის დირექტორ ი. ხომერიკისადმი, ვახტანგ ჭაბუკიანისათვის საავტორო უფლების მინიჭების შესახებ.

პირი: გ. ფოფხაძე, მ. პეტიპა, ვ. ვაინონენი.

1960წ. 12 მაისი. მოსკოვი. ნაბეჭდი. ბლანკი. ხელს აწერენ ხესინი და რუდაკოვი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

89. საკავშირო საავტორო უფლებათა ექსპერტის, მწერალთა კავშირის წევრის პ. აბოლიმოვის მიმართვა საკავშირო საავტორო უფლებათა დაცვის სამმართველოსადმი. პ. ჩაიკოვსკის ბაღეც “მაკნატუნას” ლიბრეტოზე ვახტანგ ჭაბუკიანის საავტორო უფლების შესახებ.

1960 წ. 26 ივნისი. მოსკოვი. ნაბეჭდი ასლი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 2 გვ.

90. საავტორო უფლებების დაცვის საკავშირო სამმართველოს დირექტორის გ. ხესინისა და სამართლის განყოფილების უფროსის იუ. რუდაკოვის მიმართვა საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილის გ. ფოფხაძისადმი, პ. ჩაიკოვსკის ბაღეც “მაკნატუნასტვის” ვახტანგ ჭაბუკიანის მიერ შექმნილი დამოუკიდებელი ლიბრეტოს საავტორო უფლების აღიარებასთან დაკავშირებით.

პირი: პ. აბოლიმოვი, გ. პეტიპა, ვ.ი. ვაინონენი.

1960 წ. 30 ივნისი. ნაბეჭდი. ასლი. ბეჭედდასმული. ხელს აწერენ: გ. ხესინი, ი. რუდაკოვი. რუსულ ენაზე. 1 გვ. 2 ეგზ.

91. საავტორო უფლებების დაცვის საკავშირო სამმართველოს წარმომადგენლების გ. ხესინისა და იუ. რუდაკოვის მიმართვა “საუდ”-ის (საავტორო უფლებების დაცვის სააგენტო) დირექტორ ი. ხომერიკისადმი ბაღეც “მაკნატუნასათვის” ვ. ჭაბუკიანის მიერ შექმნილი ლიბრეტოსთან დაკავშირებული ექსპერტის დასკვნის შესახებ.

პირი: პ. აბოლიმოვი

1960 წ. 30 ივლისი. მოსკოვი. ნაბეჭდი. ბლანკი. ხელს აწერენ: გ. ხესინი, იუ. რუდაკოვი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

92. ამერიკის ბალეტის თეატრის დირექტორის ლუსია შაზეს მიმართვა ვახტანგ ჭაბუკიანისადმი. ბალეტის თეატრის ფონდსა და ვ. ჭაბუკიანს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების შესახებ.

1960 წ. 6 ოქტომბერი. ლენინგრადი. ინგლისურ ენაზე. 1 გვ. 4 ეგზ.

93. ამერიკის თეატრის ლუსია შაზეს მიმართვა ვახტანგ ჭაბუკიანისადმი, შრომითი ხელშეკრულების შესახებ.

1960 წ. 6 ოქტომბერი. ლენინგრადი. ნაბეჭდი. ხელს აწერს ლუსია შაზე. ინგლისურ ენაზე. 1 გვ. 2 ეგზ.

94. თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექციის მიმართვა საავტორო უფლებების დაცვის სააგენტოსადმი. პ. ჩაიკოვსკის ბალეტ “მაკნატუნას” ლიბრეტოზე ვ. ჭაბუკიანის საავტორო უფლებების შესახებ.

პირი: მ. პეტიპა, ვაინონენი, გოფმანი.

1960 წ. თბილისი ბეჭედადამული. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

95. სსრკ კულტურის სამინისტროს კინოფიკაციისა და კინოგაქირავების სამმართველოს მთავარი ბუღალტრის დ. გინოდმანის მიმართვა ვახტანგ ჭაბუკიანისადმი კინოფილმ “ვენეციელი მავრის” ასლებთან დაკავშირებით.

1961 წ. 6 ოქტომბერი. მოსკოვი. ნაბეჭდი. ბლანკი. ხელს აწერს გინოდმანი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

96. ვორონეჟის სახელმწიფო მუსიკალური თეატრის დირექტორის ნ. სადკოვას მიმართვა ვახტანგ ჭაბუკიანისადმი ამ თეატრის საბალეტო სპექტაკლებში მონაწილეობასთან დაკავშირებით.

1963 წ. 15 მაისი. ვორონეჟი. ნაბეჭდი. ბლანკი. ხელს აწერს ნ. სადკოვა. რუსულ ენაზე. 1 გვ.

97. პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობის კალენდრების რედაქციის ხელმძღვანელის გ. ლობარევის მიმართვა ვახტანგ ჭაბუკიანისადმი, ილუსტრირებული სახელოვნო კალენდრის გამოცემასთან დაკავშირებით.

1963 წ. 31 მაისი. მოსკოვი. ნაბეჭდი. ბლანკი. ხელს აწერს გ. ლობარევი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

98. სსრკ კულტურის სამინისტროს სამუსიკო დაწესებულებათა განყოფილების წარმომადგენლის სერგეი მირონოვის მიმართვა ვახტანგ ჭაბუკიანისადმი ბალეტმაისტერთა სემინარში მონაწილეობის მიღებასთან დაკავშირებით.

1963 წ. 28 სექტემბერი. ოსკოვი. ნაბეჭდი. ბლანკი. ხელს აწერს ს. მირონოვი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

99. სსრკ კულტურის სამინისტროს მუსიკალურ დაწესებულებათა უფროსის მოადგილის ვ. ბონის მიმართვა ვახტანგ ჭაბუკიანისადმი ბალეტმაისტერთა სემინარში თემაზე “ნაციონალური ცეკვის პრობლემები საბალეტო სპექტაკლებში” მონაწილეობის მიღებასთან დაკავშირებით.

1963 წ. 29 ოქტომბერი. მოსკოვი. ნაბეჭდი ბლანკი. ხელით შევსებული. ხელს აწერს ვ. ბონი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

100. თბილისის სახელმწიფო ქორეოგრაფიული სასწავლებლის დირექტორის ვახტანგ ჭაბუკიანის მიმართვა საქართველოს კულტურის მინისტრის თენგიზ ბუაჩიძისადმი, საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე საშუამდგომლოდ ქორეოგრაფიული სასწავლებლის ღვაწლმოსილი პედაგოგებისათვის წოდების მინიჭებასთან დაკავშირებით.

პირი: ტ. რუხაძე, ს. სოლოგოვი, ზ. გრიგორიანი, ი. ზარეცკი.

1964 წ. 27 იანვარი. ნაბეჭდი. ბლანკი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

101. მთავართბილმშენის უფროსის გ. შენგელიას მიმართვა ვახტანგ ჭაბუკიანისადმი, წყნეთის აგარაკის მშენებლობის ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებით.

1964 წ. 1 თებერვალი. თბილისი. ნაბეჭდი. ბლანკი. ხელს აწერს გ. შენგელიას. რუსულ ენაზე. 1 გვ.

102. უ. შექსპირის დაბადების 400 წლისთავის აღსანიშნავი და მომწყობი საკავშირო საიუბილეო კომიტეტის თავჯდომარის ი. ანისიმოვის მიმართვა ვახტანგ ჭაბუკიანისადმი, კომიტეტის სხდომაში მონაწილეობის მიღებასთან დაკავშირებით.

1964 წ. 4 აპრილი. ნაბეჭდი. ხელს აწერს თ. ანისიმოვი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

103. სსრკ კულტურის სამინისტროს წარმომადგენლის ზ. ვართანიანის მიმართვა ვახტანგ ჭაბუკიანისადმი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლის იუბილეზე მონაწილეობის მიღებასა და რომელიმე თეატრში საბალეტო სპექტაკლის დადგმასთან დაკავშირებით.

1965 წ. 12 მაისი. ოსკოვი. ნაბეჭდი. ხელს აწერს ზ. ვართანიანი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

104. ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორის ა. ჩიმაკაძის მიმართვა ლენინგრადის აღმასკომის თავჯდომარე ვ. ისაევისადმი, ვახტანგ ჭაბუკიანისათვის ავტომატური შეძენის შესახებ.

პირი: ოლგა იორდანი.

1965 წ. 24 აგვისტო. თბილისი. ნაბეჭდი. ბლანკი. ხელს აწერს ა. ჩიმაკაძე. რუსულ ენაზე. 1 გვ.

105. სსრკ “გოსკონცერტის” დირექტორის მოადგილის გ. აგაჯანოვის მიმართვა ვახტანგ ჭაბუკიანისადმი, ვ. ჭაბუკიანისა და მისი საბალეტო დასის შესახებ ლონდონში გამოქვეყნებულ სტატიასთან დაკავშირებით.

1967 წ. 12 დეკემბერი. მოსკოვი. ნაბეჭდი. ხელს აწერს გ. აგაჯანოვი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

106. სსრკ. კულტურის სამინისტროს საგარეო ურთიერთობათა სამმართველოს საზღვარგარეთის კადრების განყოფილების ინსპექტორის ნ. ტიმოფეევას მიმართვა ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და პალეტის სახელმწიფო თეატრის დირექტორის ა. ჩიმაკაძისადმი, თეატრის მთავარი ბალეტმასტერის ვახტანგ ჭაბუკიანის უნგრეთში საცეკვაო ხელოვნების კვირეულზე სტუმარ-დამკვირვებლად მიწვევასთან დაკავშირებით.

1968 წ. 8, 18 აპრილი. მოსკოვი. ნაბეჭდი. ბლანკი. ბეჭედდასმული. ხელს აწერს ნ. ტიმოფეევა. რუსულ ენაზე. რუსულ ენაზე. 2 გვ.

107. საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილის აკაკი დვალიშვილის მიმართვა საქართველოს ხელოვნების კომიტეტისადმი, ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და პალეტის თეატრის მთავარი ბალეტმასტერის ვ. ჭაბუკიანის უნგრეთის კულტურის სამინისტროს მიერ საცეკვაო ხელოვნების კვირეულზე მოწვევასთან დაკავშირებით, აგრეთვე კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატის სანქციების შესახებ.

1968 წ. 29 აპრილი, 7 მაისი. ნაბეჭდი. ასლი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

108. მთავართბილმშენის უფროსის მიმართვა ვახტანგ ჭაბუკიანისადმი წყნეთის აგარაკის ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებით.

1968 წ. 28 ივნისი. ნაბეჭდი. ბლანკი. ხელს აწერს გ. შენგელია. რუსულ ენაზე. 1 გვ.

109. მოსკოვის აკადემიური ქორეოგრაფიული სასწავლებლის დირექტორის ს. გოლოვკინას მიმართვა საქართველოს კულტურის მინისტრის ოთარ თაქთაქიშვილისადმი, მოსკოვის აკადემიური ქორეოგრაფიული სასწავლებლის დახელოვნების ჯგუფში საქართველოდან კანდიდატურების შერჩევასთან დაკავშირებით.

პირი: ვ. ჭაბუკიანი, ო. თაქთაქიშვილი, ს. გოლოვკინა, დ. მჭედლიძე, რ. ვახტანგოვი.

1968 წ. 6 ივლისი. მოსკოვი. ნაბეჭდი. ბლანკი. ბეჭედდასმული. ხელს აწერს ს. გოლოვკინა. 1 გვ.

110. საერთაშორისო და საკავშირო კონკურსების სამმართველოს უფროსის ს. ფედოროვცევის მიმართვა ვახტანგ ჭაბუკიანისადმი საკონცერტო ქორეოგრაფიული ცეკვების III საკავშირო კონკურსის ჩატარებისა და ჟიურის მუშაობის ვადებთან დაკავშირებით.

1969 წ. 14 იანვარი. ნაბეჭდი. ხელს აწერს ს. ფედოროვცევი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

111. მუსიკალურ დაწესებულებათა სამმართველოს უფროსის ზ. ვართანიანის მიმართვა ვახტანგ ჭაბუკიანისადმი ქორეოგრაფიის ხელოვნების სამხატვრო საბჭოს სხდომაზე თემა: “საბჭოთა ბალეტის თეორიისა და პრაქტიკის მდგომარეობაზე” მონაწილეობის მიღებასთან დაკავშირებით.

1969 წ. 13 მარტი. მოსკოვი. ნაბეჭდი. ხელს აწერს ზ. ვართანიანი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

112. ნოვოსიბირსკის სახელმწიფო აკადემიური ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორის ა. ჩუგუკოვის მიმართვა ვახტანგ ჭაბუკიანისადმი ბალეტ “ლაურენსიას” დადგმასთან დაკავშირებით, სპექტაკლის მხატვრის შესახებ.

პირი: სოლიკო ვირსალაძე

1969 წ. 26 მაისი. ოვოსიბირსკი. ნაბეჭდი. ბლანკი. ხელს აწერს ა. ჩუგუკოვი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

113. სსრკ. კულტურის სამინისტროს საგარეო საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილის ი. კუზინის მიმართვა, საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილე ა. დვალიშვილისა და ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორის ა. ჩიმაკაძისადმი, ვახტანგ ჭაბუკიანის ბუდაპეშტის საოპერო თეატრის საბალეტო დასის დირექტორ ლერენცის მიწვევასა და ბალეტ “ლაურენსიასა” და სამომავლოდ სხვ ბალეტების დადგმასთან დაკავშირებით.

1969 წ. 1 აგვისტო. მოსკოვი. ნაბეჭდი. ბლანკი. ხელს აწერს ი. კუზინი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

114. ქალაქ ჩერკასის სამუსიკო სკოლის დირექტორის ა. სილკინის მიმართვა ვახტანგ ჭაბუკიანისადმი, შემოქმედების ამსახველი ფოტომასალის გაგზავნასთან დაკავშირებით.

1971 წ. 19 გვისტო. ჩერკასი. ნაბეჭდი. ბლანკი. ერთვის საფოსტო კოვერტი. ხელს აწერს ა. სილკინი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

115. სსრკ მინისტრთა საბჭოს ბეჭდითი კომიტეტთან არსებული გამომცემლობა “ხელოვნების” მთავარი რედაქტორის ი. შუბის მიმართვა ვახტანგ ჭაბუკიანისადმი რუსი ბალერინას ნატალია დუდინსკაიას შემოქმედების შესახებ გამოსაცემ ჭიგში ვ. ჭაბუკიანის მიერ დაწერილ სტატიასთან დაკავშირებით.

1971 წ. 15 ნოემბერი. ოსკოვი. ნაბეჭდი. ბლანკი. რუსულ ენაზე. ხელს აწერს ი. შუბი. 1 გვ.

116. პუბლიცისტის გიორგი მარგველაშვილის მიმართვა მწერალ ნიკოლოზ ტიხონოვისადმი ვახტანგ ჭაბუკიანის საბალეტო დადგმის “ჰამლეტისთვის” სახელმწიფო პრემიის მინიჭებასთან დაკავშირებით.

პირი: ი. პოპოვი, ნ. როსლავლიოვა, ო. თაქთაქიშვილი, ო. ეგაძე, დ. რომადინოვა.

1972 წ. 22 აპრილი. ნაბეჭდი. ასლი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

117. საქართველოს კულტურის სამინისტროს მუსიკალურ დაწესებულებათა განყოფილების უფროსის იოსებ კეჭაყმაძის მიმართვა ვახტანგ ჭაბუკიანისადმი ბალეტის მსახიობთა მეორე საერთაშორისო კონკურსის შემსრულებელთა და მონაწილეთა გვარებისა და სავარუდო პროგრამების ან გეგმების წარდენასთან დაკავშირებით

1972 წ. 24 ოქტომბერი. თბილისი. ნაბეჭდი. ხელნაწერი. ბლანკი. ხელს აწერს ი. კეჭაყმაძე. 2 გვ.

118. ვახტანგ ჭაბუკიანის მიმართვა ეკატერინე ფურცევასადმი მისი თეატრიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებით, დახმარებისა და სამართლიანობის აღდგენის შესახებ.

პირი: ო. თაქთაქიშვილი, გ. ალექსიძე, ე. გვარამაძე.

197 2წ. ნოემბერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 6 გვ.

119. ვახტანგ ჭაბუკიანის მიმართვა სსრკ კულტურის მინისტრის ეკატერინა ფურცევასადმი, დაკავებული თანამდებობიდან მისი არასათანადო მოტივაციისა და შესაბამისად უსაფუძვლოდ გათავისუფლების შესახებ.

პირი: ო. თაქთაქიშვილი, გ. ალექსიძე, ე. ლუცკაია, გ. მარგველაშვილი, ი. ბელზა, ტ. ხრენნიკოვი, ს. ტულიკოვი, თ. ვახვახიშვილი, ვ. კრიგერი, ე. გვარამაძე, ლ. ბერია, კ. ჩარკვიანი, დ. სტურუა, ო. ეგაძე.

1972 წ. ნოემბერი. ნაბეჭდი. ასლი. რუსულ ენაზე. 6 გვ.

120. საქართველოს კულტურის მინისტრის ო. თაქთაქიშვილის მიმართვა ვახტანგ ჭაბუკიანისადმი ქორეოგრაფიულ სასწავლებელში და თეატრალურ ინსტიტუტში სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობის შეთავაზებასთან და საკავშირო პერსონალური პენსიონერის კანდიდატად წარდგენასთან დაკავშირებით.

1973 წ. 4 იანვარი. ნაბეჭდი. ასლი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

121. ვ. ჭაბუკიანის მიმართვა საქართველოს კულტურის მინისტრის ო. თაქთაქიშვილისადმი დაკავებული თანამდებობიდან უსაფუძვლოდ გათავისუფლებასთან დაკავშირებით.

1973 წ. 8 იანვარი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

122. საქართველოს მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის გამომცემლობა “ხელოვნების” დირექტორის ოთარ ეგაძის მიმართვა განსახკომის თავმჯდომარის გიორგი თავაძისადმი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ოთარ ჩერქეზიასადმი და თეატრალური მუზეუმის უფროს მეცნიერ მუშაკის ალ. ჩხეიძისადმი, ვახტანგ ჭაბუკიანის შემოქმედების შესახებ მეხუთე მონოგრაფიული წიგნის გამომცემასთან შექმნილ პრობლემებთან დაკავშირებით.

პირი: ალ. ჩხეიძე, ალ. ბურთიკაშვილი, ვ. კრასოვსკაია, ო. ეგაძე.

1974 წ. 31 ოქტომბერი. თბილისი. ნაბეჭდი. 2 გვ.

123. თეატრმცოდნისა და ბალეტის ისტორიკოსის ალექსანდრე ჩხეიძის მიმართვა კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ვიქტორია სირაძისადმი გამომცემლობა “ხელოვნების” მიერ ვახტანგ ჭაბუკიანის შესახებ წიგნი-ალბომის გამომცემასთან დაკავშირებით.

პირი: ნოდარ გურაბანიძე, ე. სავოსტიანოვი, ოთარ ეგაძე.

1974 წ. 29 ნოემბერი. თბილისი. ნაბეჭდი. ხელს აწერს ალექსანდრე ჩხეიძე. რუსულ ენაზე. 2 გვ.

124. ვახტანგ ჭაბუკიანის მიმართვა ედუარდ შევარდნაძისადმი თბილისის ქორეოგრაფიული სასწავლებლის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობის დატოვებასთან დაკავშირებით.

1977 წ. 28 მარტი. თბილისი. ნაბეჭდი. ასლი. რუსულ ენაზე. 4 გვ.

125. საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივის დირექტორის ვახტანგ გურგენიძის მიმართვა ვახტანგ ჭაბუკიანისადმი ისტორიისა და კულტურის მნიშვნელოვანი საარქივო დოკუმენტების მოძიების, დაცვისა და ამასთან დაკავშირებული სხვა საკითხებზე საკუთარი აზრის გამოთქმასთან დაკავშირებით.

1977 წ. 7 ოქტომბერი. თბილისი. ნაბეჭდი. 1 გვ.

126. რუსეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დაჯილდოებათა განყოფილების გამგის მოადგილის ნ. ვაჟნოვას მიმართვა სსრკ კულტურის მინისტრის პირველი მოადგილის იუ. ბარაბაშისადმი ვახტანგ ჭაბუკიანისათვის ხელოვნების დამსახურებული

მოღვაწის წოდების მინიჭების დამადასტურებელი სიგელის დუბლიკატის გადაცემასთან დაკავშირებით.

1979 წ. 17 მაისი. მოსკოვი. ნაბეჭდი. ბლანკი. ხელს აწერს ნ.ვ. ვაჟნოვას რუსულ ენაზე. 1 გვ.

127. საკავშირო ბეჭდვითი კომიტეტის გამომცემლობა “ხელოვნების” მთავარი რედაქტორის მოადგილის გ. დუბასოვის მიმართვა ვახტანგ ჭაბუკიანისადმი, ბალერინა ნ. დუდინსკაიას შესახებ კრებულის გამოცემასთან დაკავშირებით, ვ. ჭაბუკიანისა და ნ.მ დუდინსკაიას ურთიერთობაზე სტატიის დაწერასთან დაკავშირებით.

პირი: გ. ინოზემცევა, ვ. ურალსკაია.

1984 წ. 30 მარტი. მოსკოვი. ნაბეჭდი. ბლანკი. ხელს აწერს გ. დუბასოვი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

128. პოლიტიკური ლიტერატურის საკავშირო ცკ-ს გამომცემლობის რედაქტორის იუ. ონდრატენკოვას მიმართვა ვახტანგ ჭაბუკიანისადმი საიუბილეო კალენდრისათვის ზუსტი დაბადების თარიღის მიწოდებასთან დაკავშირებით.

1988 წ. 9 თებერვალი. მოსკოვი. ბლანკი. ხელს აწერს იუ. კონდრატენკოვა. რუსულ ენაზე. 1 გვ.

129. თბილისის თელასის სამმართველოს უფროსის ზ. გურგენიძის მიმართვა ვახტანგ ჭაბუკიანისადმი, საყოფაცხოვრებო საკითხებთან დაკავშირებით.

1988 წ. 18 მარტი. ნაბეჭდი. ბლანკი. ხელს აწერს ზ. გურგენიძე. რუსულ ენაზე. 1 გვ.

130. კალიფორნიის საბალეტო სკოლის დირექტორის მაქსიმ მაჰონის მიმართვა საქართველოს კულტურის მინისტრ ვალერიან ასათიანისადმი, თბილისის ქორეოგრაფიულ სასწავლებელთან დაკავშირებით.

პირი: ვ. ჭაბუკიანი.

1989 წ. 2 მაისი. სან-დიეგო. ნაბეჭდი. ბლანკი. ასლი. ინგლისურ ენაზე. 1 გვ.

131. ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის გენერალური დირექტორის ზურაბ ლომიძის მიმართვა საქართველოს კულტურის მინისტრის ვალერი ასათიანისადმი სსრკ სახალხო არტისტის, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატის, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალურ პენსიონერის თვალსაჩინო მოღვაწის ვახტანგ ჭაბუკიანის პენსიის მომატებასთან დაკავშირებით..

1990 წ. 28 თებერვალი. თბილისი. ნაბეჭდი. ბლანკი. ხელს აწერს ზურაბ ლომიძე. 1 გვ.

132. კავკასიის საგასტროლო ნიუროს რწმუნებულის ნაზარაშვილის მიმართვა სსრკ საგასტროლო ბიუროს დირექტორ ლ. კისელევსკისა და სომხეთის მინისტრთა საბჭოს ხელოვნების სამმართველოს ხელმძღვანელის გ. დომბაევისადმი, ასევე სომხეთის ფილარმონიის დირექტორ ა. ხანჯანიანისადმი, ვ. ჭაბუკიანისა და ვ. დავიდოვას გასტროლებთან დაკავშირებით.

უთარილო. ნაბეჭდი. ასლი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

133. მიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს ადმინისტრაციის მიმართვა ვახტანგ ჭაბუკიანისადმი თბილისელი რკინიგზელებისთვის ბაღეტ “ოტელოს” სპექტაკლის ჩატარებასთან დაკავშირებით.

უთარილო. ნაბეჭდი. ბლანკი. ხელს აწერენ: სამმართველოს უფროსის მოადგილე - მარინაშვილი, პარტკომი - ლაბაძე და ადგილკომი - ჩალაძე. რუსულ ენაზე. 1 გვ.

134. ვ. ჭაბუკიანის მიმართვა ე. შევარდნაძისადმი, მისი ოპერისა და ბაღეტის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელისა და ქორეოგრაფიული სასწავლებლის დირექტორის თანამდებობიდან უსაფუძვლოდ გათავისუფლების შესახებ. აგრეთვე წერს ელ. გვარამაძესა და ო. ეგაძესთან მომხდარ კომფლიკთან დაკავშირებით.

უთარილო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 8 გვ.

135. ლენინგრადის ნ. რიმსკი-კორსაკოვის სახ. ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო კონსერვატორიის ადმინისტრაციის მიმართვა ვახტანგ ჭაბუკიანისადმი, ცნობილი ბაღეტმაისტერისა და პროფესორის, ბაღეტმაისტერთა კათედრის დამაარსებლის თეოდორე ლოპუხოვის საიუბილეოდ სამეცნიერო-თეორიულ კონფერენციაში ვ. ჭაბუკიანის მონაწილეობასთან დაკავშირებით.

უთარილო. ნაბეჭდი. ბლანკი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

136. ჟურნალ “პიონერის” რედაქტორ პოეტ მუხრან მაჭავარიანის მიმართვა ვახტანგ ჭაბუკიანისადმი, “მოზარდი თაობისთვის ღვაწლმოსილი ადამიანის აზრებისა და იდეების კეთილისმყოფელი ზეგავლენის მოხდენის შესახებ”.

უთარილო. ნაბეჭდი. ხელს აწერს მ. მაჭავარიანის. 2 გვ.

137. გამომცემლობა “ხელოვნების” დირექტორის ნოდარ გურაბანიძის მიმართვა ბაღეტის მსახიობსა და ბაღეტმაისტერ ელენე გიორგის ასულ ჩიკვაიძისადმი, სსრკ სახალხო არტისტის ვახტანგ ჭაბუკიანის შესახებ, საიუბილეო ალბომის გამოცემასთან დაკავშირებით.

უთარილო. ნაბეჭდი. ბლანკი. ხელს აწერს ნ. გურაბანიძე. რუსულ ენაზე. 1 გვ.

138. საავტორო უფლებების დაცვის საკავშირო სამმართველოს დირექციის მიმართვა ვახტანგ ჭაბუკიანისადმი, ბალეტ “განთიადის” დადგმის საავტორო უფლების დროულად დარეგისტრირებისა და კუთვნილი ჰონორარის შესახებ.

უთარილო. მოსკოვი. დასტამბული. ნაბეჭდი. ბლანკი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

139. საქართველოს კულტურის მინისტრის ა. გუნიას მიმართვა სსრკ კულტურის მინისტრ ნ. მიხაილოვისადმი, ვახტანგ ჭაბუკიანის ხელფასის, უმაღლესი კლასის მოცეკვავეების ხელფასთან გათანაბრების შესახებ.

უთარილო. ასლი. ნაბეჭდი. ქართულ ენაზე. რუსულ ენაზე. 1 გვ.

140. ვახტანგ ჭაბუკიანის მიმართვა ვასილი პავლეს ძე მჟავანაძისადმი, ჟურნალ “საბჭოთა ხელოვნების” მთავარი რედაქტორის მიერ ვ. ჭაბუკიანის წინააღმდეგ გაჩაღებულ კამპანიასთან დაკავშირებით.

პირი: ოთარ თაქთაქიშვილი, ონსტანტინ სერგეევი, გალინა ულანოვა.

უთარილო. ავტოგრაფი. მელანი. ფანქარი. რუსულ ენაზე. 6 გვ.

141. ვახტანგ ჭაბუკიანის მიმართვა ამომრჩევლებისადმი, მისი საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად არჩევასთან დაკავშირებით.

პირი: იოსებ სტალინი, ლავრენტი ბერია.

უთარილო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

142. საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილის აკაკი დვალიაშვილის მიმართვა სსრკ კულტურის სამინისტროს წარმომადგენლისადმი ვ. პოპოვისადმი, ვახტანგ ჭაბუკიანის უნგრეთში, ცეკვის კვირეულზე გამგზავრებასთან დაკავშირებით.

უთარილო. ნაბეჭდი. ასლი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

143. ვახტანგ ჭაბუკიანის მიმართვა სსრკ დიდი თეატრის დირექციისადმი, ა. კრეინის ბალეტის “ლაურენსის” ახალ დადგმასთან დაკავშირებით.

პირი: ფადეეჩევი, ჩულაკი.

უთარილო. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

144. ლენინგრადის კიროვის სახ. ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ნ. ციგანოვის მიმართვა საქართველოს მინისტრთა საბჭოს ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილის კანდელაკისადმი, ვახტანგ ჭაბუკიანისა და ვერა წიგნაძის ლენინგრადში ბალეტ “ბაიადერაში” წარმატებულ გამოსვლასთან დაკავშირებით.

უთარილო. ლენინგრადი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმულოო. რუსულ ენაზე. 1 გვ.

145. ვ. ალექსი-მესხიშვილისა და ჟ. ვალაცის მიმართვა კულტურის სამინისტროსადმი, ვახტანგ ჭაბუკიანზე ბიოგრაფიული ფილმის შექმნის შესახებ.

უთარილო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

შეტყობინებები

146. საქართველოს ალკკ (ახალგაზრდა ლენინური კომინუსტური კავშირი) ცენტრალური კომიტეტის შეტყობინება ვახტანგ ჭაბუკიანისადმი, საქართველოს ახალგაზრდობისა და სტუდენტთა I რესპუბლიკური ფესტივალის სალაურეატო კონკურსის ჟიურის წევრად დამტკიცების შესახებ.

1957 წ. მაისი. თბილისი. ნაბეჭდი. ასლი. ხელით ჩაწერილი. ხელს აწერს საორგანიზაციო კომიტეტის თავჯდომარე თამაზ ჯანელიძე. 1 გვ.

147. თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირექტორის არჩილ ჩიმაკაძის შეტყობინება ვახტანგ ჭაბუკიანისადმი, თეატრის სამხატვრო საბჭოს წევრობასთან დაკავშირებით.

1964 წ. 14 ნოემბერი. თბილისი. ნაბეჭდი. ბლანკი. ხელს აწერს ა. ჩიმაკაძე. რუსულ ენაზე. 1 გვ.

148. საქართველოს კულტურის მინისტრის აკაკი დვალიშვილის შეტყობინება სსრკ კულტურის სამინისტროს საგარეო ურთიერთობათა სამმართველოს წარმომადგენლის ბრიკინისადმი, ვახტანგ ჭაბუკიანის ავადმყოფობის გამო უნგრეთში შეუძლებელ გამგზავრებასთან დაკავშირებით.

1968 წ. 7 მაისი. თბილისი. ნაბეჭდი. ასლი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

149. მუსიკალურ დაწესებულებათა სამმართველოს უფროსის ზ. ვართანიანის შეტყობინება ვახტანგ ჭაბუკიანისადმი, ბალეტ “ზაიადერას” პროგრამებსა და აფიშებზე, საკავშირო კულტურის სამინისტროს გადაწყვეტილებითა და ლენინგრადის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექციის მიერ გაცემული ბრძანების თანახმად, დამდგმელი ბალეტმაისტერის გ. პეტიპასთან ერთად ვახტანგ ჭაბუკიანის გვარის დაწერასთან დაკავშირებით.

პირი: ე. ფურცევა, ა. ვიტელი.

1968 წ. 10 დეკემბერი. მოსკოვი. ნაბეჭდი. ბლანკი. რუსულ ენაზე. ხელს აწერს ზ. ვართანიანი. 1 გვ.

150. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დაჯილდოებათა განყოფილების გამგის მოადგილის ნ. ვაჟნოვას შეტყობინება ვახტანგ ჭაბუკიანისადმი, მისი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის დამადასტურებელი სიგელის დუბლიკატთან დაკავშირებით.

1979 წ. 24 აგვისტო. ნაბეჭდი. ბლანკი. ხელს აწერს ნ. ვაჟნოვა.. რუსულ ენაზე. 1 გვ.

151. საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს შეტყობინება ვახტანგ ჭაბუკიანისადმი, პენსიის მომატებასთან დაკავშირებით.

1988 წ. 22 დეკემბერი. თბილისი. ხელნაწერი. ბლანკი. ხელს აწერს პერსონალური პენსიონერების მომსახურების განყოფილების უფროსი. 1 გვ.

152. საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების პრეზიდიუმის თავჯდომარის ა. გოგოშვილის შეტყობინება ვახტანგ ჭაბუკიანისადმი, საბჭოთა კავშირის საფრანგეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების დამფუძნებელ კრებაზე გამგეობის წევრად არჩევისთან დაკავშირებით.

